

შპს მერკური 2019

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
ძირითადი საქმიანობა	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
ფული და ფულის ექვივალენტები	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
საგადასახადო ვალდებულებები	11
შემოსავალი	Error! Bookmark not defined.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	Error! Bookmark not defined.
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
სხვა შემოსულობა/ზარალი	12
კაპიტალი	12
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31.12.2020-ის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	2020წ	2019წ
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1 209	82 516
საეაჭრო მოთხოვნები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 971	1 972
დარიცხული მოთხოვნები	4 244	313 024
წინასწარ გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	8 968	77 420
სულ მიმდინარე აქტივები	16 392	474 932
<i>სასაქონლო მატერიალური მარაგი</i>		
ნედლეული და მასალები		
დაუმთავრებელი წარმოება		
მზა პროდუქცია		
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	0	0
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
მიწის ნაკვეთები	4192 276	4192 276
დაუმთავრებელი მშენებლობა	987 582	469 921
შენობები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	5179 858	4662 197
სულ აქტივები	5196 250	5137 129

კაპიტალი და ვალდებულებები

<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	80 032	1 180
სულ მიმდინარე ვალდებულებები	80 032	1 180
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
ვალდებულებები გრძელვადიან ინვესტიციებზე		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		

საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2617 940	2617 940
გაუნაწილებელი მოგება	2498 278	2518 009
სულ საკუთარი კაპიტალი	5116 218	5135 949
 სულ კაპიტალი და ვალდებულებები	 5196 250	 5137 129

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი :  /დილოვარ რახიმოვი/ თბილისი, საქართველო

01.04.2021წელი

შპს მერკური 2019

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	2020	2019
ამონაგები სხვა საქმიანობიდან		2 503 710
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საერთო მოგება		2 503 710
საოპერაციო ხარჯები	(15711)	(6323)
საწარმოო ხარჯები		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(15711)	(6323)
მიწოდების ხარჯები		
საოპერაციო მოგება	(15711)	2 497 387
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	(4020)	20622
საკურსო სხვაობა		20626
კონვერსიის სხვაობა		
განსაკუთრებული ხარჯები	(4020)	(4)
წმინდა მოგება (ზარალი)	(19731)	2 518 009

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი :  /დილოვარ რახიმოვი/ თბილისი, საქართველო

01.04.2021წელი

შპს მერკური 2019

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	82516	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	140753	4 178 544
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(222060)	(4 106 904)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სავალუტო კურსის ეფექტი		10 876
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1209	82516

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი :  დილოვარ რახიმოვი/ თბილისი, საქართველო

01.04.2021წელი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ძირითადი საქმიანობა

მერკური 2019 (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 23 მაისს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით

	2020 წელი	2019 წელი
ლაშა ჩოჩელი 3/6 06001002551		80%
ლევან ჩაჩუა 3/6 01012012287		10%
ირაკლი სამხარაძე 3/6 01012012363		10%
ფაიზალი რაბიეფ, 3/6 402145204 / ტაჭიკეთი/	100%	

კომპანიის ძირითადი საქმიანობა იქნება სასტუმროს ფუნქციონირება (რესტორნის გარეშე). ამჟამად მიმდინარეობს სასტუმროს მშენებლობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2019 და 2020 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2020 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. 2020 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი გრძელვადიანი ინვესტიციები, რაც უზრუნველყოფილს სასტუმროს შენობის დროულ ექსპლოატაციას. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. როდესაც მშენებლობა ეხება რამდენიმე აქტივს, მაშინ თითოეული აქტივის მშენებლობა განიხილება როგორც დამოუკიდებელი და შესაბამისად ხდება მასზე განეული დანახარჯების მიკუთვნება სამშენებლო ერთეულის ღირებულების გამოსათვლელად.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020წ	31 დეკემბერი 2019წ
ფული და ფულის ეკვივალენტები	1209	82516
სულ	1209	82516

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხოვრო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020წ	31 დეკემბერი 2019წ
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	4244	313 024
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1971	1972
სულ	6215	314 996

სასტუმროს მშენებლობის პირობებში ძირითადი მოთხოვნა კომპანიისთვის არის მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე, რაც განხორციელდა 2020 წლის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიას ჯერ-ჯერობით სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გააჩნია, ვინაიდან მშენებლობას აწარმოებს დაქირავებული სამშენებლო კომპანია.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2020წ	31 დეკემბერი 2019წ
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	80032	1180
სულ მიმდინარე ვალდებულებები	80032	1180

ძირითადად ვალდებულებების არსებობას განაპირობებს მშენებლობის განმახორციელებელ იურიდიულ პირების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის წარმოქმნილი დავალიანებები,

სავადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020წ	31 დეკემბერი 2019წ
წინასწარ გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	8968	77419
სულ	8968	77419

ზედმეტი საბიუჯეტო გადასახადები წარმოქმნილია შესყიდვებისათვის გადახდილი ავანსებიდან დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნალურსა და კომუნიკაციის ხარჯებს.

სხვა შემოსულობა/ზარალი

2019 საანგარიშგებო წელს კომპანია იყო მომგებიანი, ვინაიდან ამ პერიოდში მოხდა სხვა საზოგადოებაში კუთვნილი წილის რეალიზაცია 2503710 ლარის მოგებით.. 2020 წელი ზარალით დასრულდა, ვინაიდან მიმდინარეობდა სასტუმროს შენობის მშენებლობა.

COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020 წელს COVID 19 -პანდემიით გამოწვეული სახელმწიფო რეგულაციების გამო, საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა დადგა ფუნქციონირებადი საწარმოს შეწყვეტის საფრთხის წინაშე. მიუხედავად ამისა შპს მერკური_2019_ის საქმიანობა არ დამდგარა შეჩერების საშიშროების წინაშე და არც მომავალში აქვს მსგავსი მოლოდინი.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საკუთარი კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი :  /დილოვარ რახიმოვი/ თბილისი, საქართველო

01/04/2021წელი

